ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (რეგულირებადი)

პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო სამართალი/International Law

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

მისანიჭებელიაკადემიურიხარისხი/კვალიფიკაცია: პროგრამის I ნაწილის დასრულების შემდგომ: საერთაშორისო სამართლის მაგისტრი/Master of International Law (მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და არანაკლებ 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში). პროგრამის II ნაწილის დასრულების შემდგომ: კვლევის მაგისტრი საერთაშორისო სამართალში Master of Research in International Law (მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და არანაკლებ 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში).

სწავლის სფეროების კლასიფიკატორით: სწავლების ვიწრო სფერო 042 სამართალი, სწავლების დეტალური სფერო 0421.1.2. საერთაშორისო სამართალი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით და პროგრამის სტრუქტურა:

საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი ნაწილისგან:

I ნაწილი- კრედიტმოცულობა: 60 ECTS
სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ 2 სემესტრისა

საერთაშორისო სამართლის სავალდებულო სასწავლო კურსები (ILAWM1): 20 ECTS
საერთაშორისო სამართლის არჩევითი სასწავლო კურსები (ILAWM2); 30 ECTS
იურიდიული კლინიკა (ILAWM3). 10 ECTS

II ნაწილი- კრედიტმოცულობა: 60 ECTS
სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ 2 სემესტრისა
საკომპეტენციო სავალდებულო სასწავლო კურსები (ILAWM4) 10 ECTS
საერთაშორისო სამართლის არჩევითი სასწავლო კურსები (ILAWM5): 20 ECTS
სამაგისტრო ნაშრომი (ILAWM6): 30 ECTS

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის პირველი ნაწილის სტუდენტი შეისწავლის საერთაშორისო სამართლის სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო საერთაშორისო სამართლის არჩევით კურსებს ირჩევს შეთავაზებული სასწავლო მოდულებიდან. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ირჩევს ერთ მოდულს, საიდანაც უნდა აირჩიოს მინიმუმ 20 ECTS კრედიტი. ამასთან, სტუდენტმა უნდა აირჩიოს მეორე მოდულის სასწავლო კურსებიდან მინიმუმ 5 ECTS კრედიტი.

იურიდიული კლინიკის მიზანია სტუდენტებისათვის პრაქტიკაზე დაფუძნებული იურიდიული განათლების მიცემა. საუნივერსიტეტო ბაზის გარდა იურიდიული კლინიკა შეიძლება განხორციელდეს სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში, იურიდიულ (საადვოკატო) ბიუროებში, საჯარო დაწესებულებებში, აგრეთვე იურიდიული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში და სხვა შესაბამისი პროფილის დაწესებულებებში. თავის მხრივ, იურიდიული კლინიკა მიზნად ისახავს სტუდენტებში სამართლებრივი აზროვნების, სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, პროფესიული მეტყველების უნარის განვითარებასა და საბოლოოდ მაღალი კვალიფიკაციის იურისტის ჩვევების ჩამოყალიბებას. სპეციალობით მომუშავე სტუდენტმა (რაც დასტურდება სამსახურებრივი ცნობით დამსაქმებლისა და მისი უშუალო სამუშაო ფუნქციების შესახებ) იურიდიული კლინიკის ნაცვლად 10 კრედიტი შესაძლებელია დააგროვოს პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის ფარგლებში სტუდენტი პირველ სემესტრში ეუფლება კვლევითი კომპეტენციის ჩამაღრმავებელ და ინტერდისციპლინურ სასწავლო კურსებსა და საერთაშორისო სამართლის არჩევით კურსებს.
დამასრულებელ სემესტრში სტუდენტი გეგმავს და ამზადებს კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს. სტუდენტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს სტუდენტის უნარს, ჩაატაროს კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მისი საჯარო დაცვის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს საერთაშორისო სამართლის სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი, სამართლის დოქტორი - ირინე ქურდაძე

3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველ ნაწილზე (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ან საერთაშორისო სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და B2 დონის ინგლისური ენისა და სპეციალობის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე.
შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.
ინგლისური ენის გამოცდისაგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხურზე ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს სასწავლო კურსი.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს საერთაშორისო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (პროგრამის პირველი ნაწილის დასრულებით). აღნიშნულ ნაწილზე სწავლის გაგრძელების სხვა პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად იურიდიული ფაკულტეტის მიერ.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

დანართი №1

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ნაწილი I) სასწავლო გეგმა (მოდულები, საგნები შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	კრედიტი /საათი		სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				რეკომენდირებული სემესტრი			
				I	II		
	სასწავლო კომპონენტი						
	სავალდებულო სასწავლო კურსები			**20**			
1.	ILAWM1001	საერთაშორისო სამართალი: შერჩეული საკითხები (ინგლისურად)	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
2.	ILAWM1002	საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიული და სამართლებრივი ასპექტები	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
3.	ILAWM1003	საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
4.	ILAWM1004	სამოსამართლო ეთიკა	წინაპირობის გარეშე	5/125		33	92
	არჩევითი სასწავლო კურსები			**10**	**20**		31
მოდული 1: ადამიანის უფლებები დაცვა: უნივერსალური და ევროპული სტანდარტები							

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	კრედიტი /საათი		სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				რეკომენდირებული სემესტრი			
				I	II		
1.	ILAWM2001	ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპების თანაფარდობა თანამედროვე საერთაშორისო მართლწესრიგის კონტექსტში	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
2.	ILAWM2002	შედარებითი კონსტიტუციური სამართალი: საერთაშორისო სამართლებრივი პერსპექტივა	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
3.	ILAWM2003	ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური უმცირესობების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
4.	ILAWM2004	რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) და საქართველო (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)	წინაპირობის გარეშე		5/125	31	94
5.	ILAWM2005	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი	წინაპირობის გარეშე		5/125	31	94
6.	ILAWM2006	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები	წინაპირობის გარეშე		5/125	31	94
7.	ILAWM2007	იძულებითი მიგრაცია და საერთაშორისო დაცვა: სამართალი და პრაქტიკა	წინაპირობის გარეშე		5/125	31	94
მოდული 2: საერთაშორისო მართლწესრიგი და გლობალური უშიშროება							
8.	ILAWM2008	გაეროს უშიშროების საბჭო და საერთაშორისო სისხლის სამართალი: ურთიერთმიმართება	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
9.	ILAWM2009	კავკასიის შედარებითი პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	კრედიტი /საათი		სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				რეკომენდირებული სემესტრი			
				I	II		
10.	ILAWM2010	თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი: თეორიიდან პრაქტიკამდე	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
11.	ILAWM2011	საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი და მისი გავლენა საზღვაო სამართლის განვითარებაზე	წინაპირობის გარეშე		5/125	31	94
12.	ILAWM2012	საავიაციო ტერორიზმი	წინაპირობის გარეშე		5/125	31	94
13.	ILAWM2013	მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) სამართალი და პრაქტიკა	წინაპირობის გარეშე		5/125	31	94
14.	ILAWM2014	კიბეროპერაციები და ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართალი (ინგლისურ ენაზე)	წინაპირობის გარეშე		5/125	31	94
		იურიდიული კლინიკა			**10**		
1.	ILAWM3005	იურიდიული კლინიკა	წინაპირობის გარეშე		10	241	9
			სემესტრში	30	30		
			წელიწადში	60			
			სულ	60			

დანართი №2

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ნაწილი II) სასწავლო გეგმა (მოდულები, საგნები შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	კრედიტი /საათი		სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				რეკომენდირებული სემესტრი			
				I	II		
	სასწავლო კომპონენტი						
	სავალდებულო სასწავლო კურსები			**10**			
1.	ILAWM4001	კვლევის მეთოდები	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
2.	ILAWM4002	აკადემიური და სამართლებრივი წერის სტანდარტები	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
	არჩევითი სასწავლო კურსები			**20**			
3.	ILAWM5001	საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
4.	ILAWM5002	საერთაშორისო საფინანსო სამართლის თანამედროვე გამოწვევები	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	კრედიტი /საათი		სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				რეკომენდირებული სემესტრი			
				I	II		
5.	ILAWM5003	გენდერი და საერთაშორისო სამართალი	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
6.	ILAWM5004	მიგრაციის მართვის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო და ევროკავშირის სტანდარტები (ინგლისურად)	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
7.	ILAWM5005	საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
8.	ILAWM5006	გარემოს დაბინძურებისა და კლიმატის ცვლილების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
9.	ILAWM5007	იმუნიტეტები საერთაშორისო სამართალში: თეორიული საფუძვლები და თანამედროვე გამოწვევები	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
10.	ILAWM5008	ევროკავშირის სამართლის შედარებითი ანალიზი	წინაპირობის გარეშე	5/125		31	94
		კვლევითი კომპონენტი			**30**		
1.	ILAWM6007	სამაგისტრო ნაშრომი	ILAWM1005 80 ESTC		30	15	735
			სემესტრში	30	30		
			წელიწადში	60			
			სულ	60			